განმარტებითი ბარათი

,,საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

,,საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს კანონის მოქმედი რედაქციის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია ,,საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული სიახლეების ინპლემენტაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის შესახებ დებულების დამტკიცება, მოქმედი რედაქციის თანახმად განეკუთვნება საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს, მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, ხოლო საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის შესახებ დებულების დამტკიცების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, ,,საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი საჭიროებს შესაბამის შესწორებას. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის შესახებ დებულება დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ. ამასთან, საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული დადგენილების მიღებამდე იმოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომელიც ძალას დაკარგავს მთავრობის მიერ კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დადგენილების მიღებისა და ამოქმედებისთანავე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგებეა ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინაარმდეგება საერთასორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავსირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქარტველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალხმრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: თედო ჯაფარიძე, ანი მიროტაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: თედო ჯაფარიძე, ანი მიროტაძე